

№ 5

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დროსაზ. კანტორაში და იხსებ იმდაშვილთან („სორამაზი“-ს სტამბაში). მისამართი: **თფლისი, რედ. „თეატრი და სხვაობა“ იოს. იმედაშვილი.**

ხელ-მოწერელი წერილები არ დაიბეჭდება. — ხელთნაწერი საპროკლამაციო წერილები შეიწავრდება. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 10—2 ს. და საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 15-41.

№ 5

კ ვ ი რ ა, 6 ა პ რ ი ლ ი

1914 წ.

6 აპრილი.

...და ჩვენ როდის-მეოცე საუკუნეა, რაც კაცობრიობას მოვლენა ახლას მცნებისა მომნიშვნელო, ხოლო თექვსმეტი საუკუნეა, რაც ქართველმა ერმა იგი ღმერთად ირწმუნა და მისი მტკიცედ აღსარებისათვის არა ერთგზის იყო სასიკვდილოდ ვანწირული...

და თუმცა მთელი ცხრამეტი ასი წელია რაც კაცთა ხსნისთვის მოვლენილი ჯვარს გააკრეს და აღდგომა მისი ქვეშაირების გამარჯვების სიმბოლოდ გარდიქცა, კაცობრიობა დღესაც მოწყურებულია მაცხოვრის მცნების საგნებით განხორციელებას...

მისი მცნების განმტკიცება არა ნაკლებ გავწყურია დღეს ქართველ ერს, რადგან—ჩვენ ქართველი ერი—ქრისტეს სახელით მხოლოდ მონად, უფლება-აყრილ ხალხად გარდაგვექმნეს, მშობა, ერთობა, სიყვარული, თანასწორობა—კი დაგვიშურეს...

სულიერი მონობა, საზოგადოებრივ ძალათა დამქაქება, ადამიანის პიროვნების არადა ჩაგდება, წოდებრივი განკერძოება, ურთიერთობრივი ზიზი, თავისთავის რწმენის უქონლობა, საზოგადოებრიობის ფხვქვეშ გაქლევა და კერძოვნობით გატაცება;—აი რა ახასიათებს ჩვენს საზოგადოებრიობას, ჩვენის ქვეყნის მოწინავე—მესვეურთა უმეტესობას...

დაე, მაცხოვრის ბრწყინვალე დღემ მაინც მოგვაგონოს ჩვენი წარსული სიამაყე, გაგვიფელისწინოს დღევანდელი მწვავე მდგომარეობა, რომ გარკვევით და მტკიცედ დავეყენოთ ჩვენს თავს კიოხზვა: როდისღა აღვსდებებით?

მწ. შ. შერაულდა, რაც ქართველთა მოქირანახულებმა შობილი ერის საჭიროება სისწორით გაითვალისწინეს და ქართველთა შინაგან წერა-კითხვის გავრცელებას საძირკველი ჩაუყარეს, და იმდენივე წელიწადი სრულდება წელს, რაც დაფუძნდა ქართ. შუდ. სტენა. ამ მწ. შ. განხილვაში „ქ. შ. წ. გ. ს.“

გახსნა რამდენიმე პირველდაწყებითი სკოლა, ორიოდვე საშუალო სასწავლებელი, რამდენიმე ათი სამკითხველო, ერთი სტამბა, ასიოდვე სახელწოდების წიგნი გამოსცა, დაბა-ქალაქებში გაიჩინა განყოფილებანი, ზოგან სათეატრო სექციები მოიწყო, მაგრამ ყოველივე ეს წვეთია ზღვაში იმ მოთხოვნილებასთან, რომელსაც საჭიროებს ქართველი ერი...

ჩვენს სამშობლოში ჯერ კიდევ წყვედილია გაშეფებული, ნამდვილი სკოლები სანთლით საძებარი, ჩვენი ერის მოწინავე ნაწილი—გერედე წოდებული ინტელიგენციის დადი უმეტესობა—სულიერად დაქსაქსული, მდაბალი ხალხი—მეშათა უმრავლესობა და გლეხ-კაცობა—განკერძოებული, საზოგადოდე-კი მთელი ჩვენი ქვეყნა საერთო მიზან-უქმნელი, ერის განვითარება ბუნებრივ მსვლელობას აცილებული...

„წ. კ. ს.“ დამფუძნებელთა თავიდანვე კანონერი უფლება მოიპოვეს ქართველთა წინმსვლელობისთვის და თუ დღეს ყველა მოპოვებული უფლებით ფართად ვერ ვსარგებლობთ, ჩვენი უქნარობის ბრალია...

...თუ ჩვენ მშობლიური კერა, სულიერად განმსპეტაკებელი; დაგვეშო, დაე თეატრმა იკისროს ჩვენი სულიერი აღზრდა-გაწრთენა, ჩვენს გულში სიმართლისა, სიყვარულისა და ქვეშაირების კანდელის ანთება; თუ უკუღმართ პირობთა გამო ვერ მოგვიხერხებია სამშობლო ენაზე გარკვეული განვითარება, დაე—სადაც-კი ქართველი გვარტომის მოსახლეობაა, „წ. კ. ს.“ სახალხო სკოლა-სამკითხველოები გავხსნათ, სათეატრო წრეები მოვაწყუთ...

ამ საგანს უნდა ბეჯითად მოვიკიდოს მთელი ქართველი ხალხი, არ დაზოგოს ნივთიერი წსვერპლი, ამ მიზნის განსახორციელებლად ხელი ხელს უნდა მისცენ „წ. კ. ს.“, თეატრმა და სხვა კულტ. დაწესებულებათ.

და როდესაც ჩვენი სამშობლო ნამდვილი სკოლა-სამკ.-თეატრებში მოიფინება, მაშაპაპათა ნაანდერძევი ნაყოფს გამოიღებს და ჩვენი ერის ბრწყინვალე დღეც მაშინ გათენდება!..

ს ა დ ლ ე ი ს ე

ქრისტე აღსდგა!

აი რა გაისმის დღეს მთელს საქრისტიანოში.

და ეს სიტყვები აღფრთოვანებასა და სიხარულს იწვევს ყველას გულში, ვინც-კი ქრისტიანობისაყენ, სინათლისაყენ მისწრაფის.

რა არის ქრისტეს აღდგომა მკვდრებით?

ეს არის გამარჯვება კეთილისა და დათრგუნვა ბოროტისა!

ეს არის გამარჯვება ძმობისა და ერთობისა და დათრგუნვა ჩაგვრაცხოველისა!

ეს არის გამარჯვება სიყვარულისა და დათრგუნვა მტრობისა!

ეს არის გამარჯვება საზოგადო, საერთო-სი და უარყოფა კერძოსი!

ქრისტეს აღდგომა მკვდრებით ნიშნავს მაშვრალ და ტვირთშიმითა გამარჯვებას, მათი მისწრაფების აღდგენას, განხორციელებას.

ფარისევლებმა, ქრისტიანობის მდევნელებმა, მაშვრალთა და ტვირთშიმითა მცარცველებმა ყოველი ღონე იღონეს, რომ ქრისტე მოეკლათ, მისი ხსნება მოესპათ, მაგრამ ქრისტიანობა არ მოკვდა და დღეს ძლიერნი ამა ქვეყნისანნიც იძულებულნი არიან მისი მკვდრებით აღდგომის წინაშე ქედი მოიხარონ და მაშვრალთა და ტვირთშიმითა ძახილზე: ქრისტე აღსდგაო, უპასუხონ: ქრისტიანობა აღსდგაო.

ცხრამეტი საუკუნის წინეთ ფარისევლები ითხოვდენ ქრისტეს სიკვდილით დასჯას და პილატე თანახმობას აცხადებდა. მათ ჯვარს აცვეს ქრისტე და სიხარულს მიეცენ: მოგსპეთ ქრისტიანობაო; მაგრამ ქრისტიანობა მკვდრებით აღსდგა და დღეს ფარისევლონი და პილატეებიც გაიძახიან: ქრისტე აღსდგაო!

ქრისტე ტანჯულთა და ჩაგრულთა, ქრისტე მაშვრალთა და ტვირთშიმითა, ქრისტე მქადაგებელი ძმობის, ერთობისა და თანასწორობისა არ მომკვდარა და არც მოკვდება! მშრომელი ხალხის მტრებმა მას დაუპირეს მოკვლა, მაგრამ დღეს მათივე მემკვიდრენი იძულებული არიან, აღიარონ: ქრისტიანობა აღსდგაო.

დღევანდელი დღე მშრომელი ხალხის დღესასწაულია.

დღევანდელ დღეს მაშვრალთა და ტვირთშიმითა მოძღვარი აღსდგა და ქვეყნის შავბნელი ძალა დაამხო.

დღევანდელი დღე განსაკუთრებით ქართველი მშრომელი ხალხის დღესასწაულია, რადგანაც მრავალზე უმალ ქართველმა ხალხმა იწამა ქრისტე და მისი აღდგომა.

მაშ ქრისტე აღსდგა, ქართველო მშრომელი ხალხო!

შეაფურთხე ეშმაკს, დაივიწყე ტანჯვა, წვალება, დამცირება, უკუაგდე ქმუნვა, გაიხარე, გამხიარულდი, მოილხინე—დღეს შენი დღესასწაულია!

დღე, დღევანდელმა დღემ გაგისაღკვდევს გული და გაგიმ ჭკიცოს ის რწმენა, რომ შენს ქრისტეს ვერავითარი ბოროტი ძალა ვერ მოჰკლავს და მომავალი შენია.

ქრისტე აღსდგა, ჩემო მკითხველო!

ვ. კეჭელი

ჩვენი ეროვნული რებერტუარის სიღარიბე

„ოცდაათმა წელიწადმა განვლო მას აქეთ, რაც ჩვენში დაიწყო წარმოდგენები, მაგრამ ახლაც მუდამ „გაყრას“, „შვის დაბნელებას“, „ვის გავეყარე, უის შევეყარე“-ს და სხვებს ვთამაშობთ! ერთს წერტილზე სდგას ქართული რებერტუარი და ფეხს ვეღარ იცვლის, წინ ნაბიჯის ვაღმას თითქო აღარა ფიქრობს!..“ (ს. მესხი, 241 გვ.).

ასე სწერდა ჩვენი ნიჭიერი პუბლიცისტი ს. მესხი ამ ოცდაათი წლის წინედ. თითქმის იგივე შეიძლება განვიმეოროთ ჩვენც დღეს ქართულ რებერტუარის შესახებ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდ თანამედროვე ორიგინალურ პიესას (გედევანიშვილი, შიუკაშვილი, შალიკაშვილი და სხვა), დღესაც ჩვენი თეატრი უკვე შესამჩნევად გათვითცნობიერებული ქართველს საზოგადოებას „შვის დაბნელებით“, „შითისთან გამოხუმრებით“ და სხვა ამგვარ დაძველებულ პიესებით უმასპინძლდება. მართალია, ჩვენ ვვაქვს საკმაო რიცხვი მხატვრული და ღრმა შინაარსიანი ნათარგმნი პიესებისა, მაგრამ ესენი, ღირსეულადაც რომ იყენენ აღსრულებულ-წარმოდგენილნი, იმდ.



სარგებლობას მიიღო ვერ მოუტანს ქართველს საზოგადოებას, რამდენსაც, თუმცა მათზე ნაკლები შინაარსიანი და ნაკლებ მხატვრულ ღირსეზიანი, მაგრამ ჩვენი ცხოვრებიდან ამოღებულ, ორიგინალური პიესები.

თეატრი ხომ სკოლაა, სადაც ადამიანი, გარდა ესთეტიურის სიამოვნების განცდისა, სწავლობს და ეცნობა თავის თავს და ცხოვრებას. ამ დანიშნულებას-კი თეატრი მხოლოდ მაშინ ასრულებს, როდესაც ის თავდაპირველად და უშთავრესად ეროვნულ დაწესებულებად გახდება, ე. ი. როდესაც მშობლიურს სცენაზე ფართოდ გაღივდება ეროვნული ცხოვრება თვისის ღირსება-ნაკლები ეფიანობით; როდესაც იქ ერის ცხოვრებიდან ამოღებული კოცხალი ტიპები ვადაგვიშლიან ხოლმე თვისის სულის და გულის ნადებს: ეროვნულს მისწრაფებას, ცხოვრების ფილოსოფიას, რწმენას და როდესაც სუკველადფერი ეს გამოითქმება წმინდა და ტკბილი ეროვნული ენით. მხოლოდ მაშინ გახდება თეატრი ხალხისათვის სარკედ, სადაც სწორედ და ნათლად გამოიხატება ერის ავი და კარგი, აწყობა და მომავალი.

თუ ასეთია დანიშნულება ყველა ერის თეატრის, მით უმეტეს ამ დანიშნულების უცვლელად და პირნათლად აღსრულება მოეთხოვება ქართულს თეატრს, ვინაიდან ის ჩვენში თითქმის ერთადერთი კულტურული დაწესებულებაა, სადაც შედარებით თავისუფლად გამოითქმის ჩვენი აზრი, გამომყლადდება ჩვენი იდეალი, მისწრაფება, ჩვენი იმედ-მოლოდინი.—

მოეთხოვება... მაგრამ რა უნდა ქნას თეატრმა, თუ მას არ მიაწვდიან შესაფერის მასალას ჩვენი მწერლები, თუ მის მსახურთ-მსახიობებს არ ექნებათ საშუალება ღირსეულად განასახიერონ ერის საუკეთესო შეილთა მისწრაფება და გულის თქმა ანდა ნაძირალთა ზნეობრივი დატემა და გახრწნა?!

მართლაც, თუმცა ჩვენი ცხოვრება დღეს დღეს, თითქმის აუარებელს, მასალას ვაძლევს დრამატიულის შემოქმედებისათვის, მაგრამ, საწუხაროდ, ჩვენ ვერ მოგვიხერხებია (ალბად ძალი არ შეგვწყევს) ამ მასალის გამოყენება, მისი მხატვრულს ფორმაში ჩამოსხმა. ამ საერთო დებულებას ვერ დაარღვევს ორიოდ გამონაკლისი.

ჩვენი თეატრი მხოლოდ მაშინ ვაშლის ფრთებს, მხოლოდ მაშინ მიიზიდავს მყურებლებს, მხოლოდ მაშინ გახდება ნამდვილ სკოლად და მაღალ ღირსეზიან ტრიბუნად, როდესაც გამაგრდება, გაძლიერდება, გააზრიანდება ჩვენი ეროვნული დრამატიული შემოქმედება, როდესაც ჩვენი მწერლები შექმნიან რთულს და მასთან მხატვრულს ეროვნულს რეპერტუარს.

რასაკვირველია, ასეთის რეპერტუარის შექმნა ჩვენთვის ძლიერ ძნელია, რადგანაც, სხვადასხვა მიზეზთა ზედგავლენით, ჩვენ ნაკლებად ვიცნობთ საკუთარს ცხოვრებას და საშუალებასაც მოკლებული ვართ ამ ცხოვრებას საფუძვლინად გავეცნოთ, შევისწავლოთ. ამასთანავე, სანამ ჩვენში მწერლობა მხოლოდ ქველმოქმედებაა, ქართველი მწერლები-კი გასტროლოიორებად გამოდიან; სანამ მწერლობა ჩვენში პროფესიად არ გახდება და არ უზრუნველყოფს თვის მოსამსახურეს, მანამდის ვერ ვაღიერიდება ქართული მწერლობა საზოგადოდ, დრამატიული-კი — კერძოდ; მაშასადამე, მანამდის ჩვენი თეატრიც იძულებული იქნება „გაყრიტ“ და „მზის დაბნელებით“ დაკმაყოფილდეს და ნათარგმნი პიესებით გაუმასპინძლდეს საზოგადოებას.

შეიძლება ვინმე მტკვას: „უზრუნველყოფობა და გასტროლოიორობა რა მოსატანია; რა ჰქნას ქართველმა მწერალმა, თუ ჩვენი ცხოვრება ვერ იძლევა დამთავრებულ და რთულ ტიპებს, სახეებს და მთლად ჩვენი ცხოვრება ისე დაქინდა, რომ სანუგეშო და საიმედო მოვლენას ვერსად გამჩნევს... ჩვენ შეგვიძლია უზასახლო გოგოლის—ამ რუსულ ეროვნული დრამის მამამთავრის— ცოტათი შევცვლილი სიტყვებით: „თავი მოგვაგებზრა უცხო პიესებმა, უცხო გმირებმა. შეიბრაღეთ ჩვენი მსახიობები, რომლებიც იძულებულნი არიან უშნოდ და ულაზათოდ იგრიბ-იმანჰონ სცენაზე. თუ არა გყავთ სათნოიანი და ღირსეული ეროვნული გმირები, იწამეთ ღმერთი, მოგვეციოთ ჩვენი, ქართველი, ჯამაზანი, გადაგვარებულნი, ჭურღბა-ცაცანი, ავაზანი, გამცემნი და მოლატენი, სამშობლოში მიიცი ვიგრძნობთ თავს“...

ი. ვართავა





„ლალატი“-ს დამწერი
ალ. სუმბატაშვილი-იუჟინი

ეკლასიანებოთ აჟად გჰნდა. ექიმებო აუკრძალეს
თამაშობა.

ლი ა კ ა რ ი

გულის,
გულის!

ცხოვრებამ სხვათა შორის აი რა მასწავლა:
ძალის ამბავი.

ვერაფერი სახარბიელოა ხომ?..

ვიღამაც ბავშვობისას ძალლი მომიყვანა
საჩუქრად.

არც მონადირე ვიყავ, არც თუ დიდი
სიყვარული მქონდა ძაღლებისა, მაგრამ უთუოდ
იმ თავითვე ჩემში მსახიობური თვალთმაქცობა
იჯდა და... შევიფერე. საჩუქარი გახარებით მი-
ვიღე.

ძალლი დაბმული იყო. თვით მჩუქებელმა
მითხრა, რომ დაბი ცოტა ხანს, თორემ გა-
მომედევნება. დაბმული გაყვდეს სანამ შეგეჭვ-
ვოდესო.

ო, რა ბრძნული სიტყვები იყო თურმე.

— სანამ შეგეჭვევოდეს!

ეხლავ გაიგებთ:

მე ბავშურად ვერ მოვითმინე და წავიდა
თუ არა მჩუქებელი, ძალლი ავუსევი.

ძალლი გაიქცა.

გამოვუღდექი.

მირბის ძალლი, მივრბივარ მე.
ვირბინეთ დიღხანს. ჩვენი ვრცელი ქალა
გადავიარეთ.

მოვიქანცეთ.

— ეჰ, წავიდეს ძალლი, რა გაეწყობა! მე
ისევ შინ დავბრუნდები.

მოვბრუნდი.

აი შევეუღდექი ჩვენს ეზოს აღმართს.
გავიხედოთ — ძალლი ჩემს გვერდით მოარბის.
ენა გადმოუგდია, მოვიდა სულ ახლო ჩემ-
თან, მიხახუნება, კულს მიქიცუნებს.

მიეხვდი, მიეხვდი.

— კი არ მირბოდა ძალლი, ჩემგან-კი არ
მიილტვოდა, მე რომ დამინახა გარბენილი,
მევე გამომედევნა. მე მეგონა მას მივდედდი,
ის კი, თურმე, მე მომედევდა...

ლიალ.

თურმე ვერ გავიგე მაშინ. მხოლოდ ახლო
მიეხვდი.

და, აი, ცხოვრებამ კარგად მასწავლა ეს
ძალლის ამბავი...

თუმცა ვანა ისწავლი კაცი ქუეას ამ სა-
ჭვირუელ ცხოვრებაში?

გეგმა

ვერვის ვეცხვი...

ყოველ წლივ ისმის საამო, მეტად ძვირ-
ფასი სიტყვები: „ქრისტე აღსდგა“, მას უზასუ-
ხებენ: „ქეშმარიტად!“

რამოდენა ტანჯვა-წვალება, სიყვარული
თუ სიხარულია ჩახლართული ამ სიტყვებში!..

რა აღტაცებას, რა ბედნიერებას განი-
ცდიდა წინანდელი მართლმორწმუნე, როცა
დგებოდა ეს ძვირფასი დღე!

რა წმინდა, სვეტაკი იყო მაშინ ქალის
არსება და ოჯახი! რა მსასობელი იყო მაშინ
ქრისტეს მცნება და რა არის ახლა?

სად ვანქრა, სად წარვიდნენ ის დრონი
და ხალხი? ვინ იყო მაშინ დედა-ბოძი ქრის-
ტეს მცნებისა? ვინ ანსვეტაკებდა სულსა და
გულს ადამიანისას? ვინ იყო აღმზრდელი შვი-
ლისა, ვინ უნერგავდა ძმურ სიყვარულსა, ვინ
ამშვენებდა, ან აძლიერებდა ოჯახს თუ სამ-
შობლოსა, ვინ იყო მცველი დედა-ენისა და
გვასწავლიდა მამულის სიყვარულსა?..

ეს იყო ქალი-დედა!..

მითმაც ცდუნის-დღეს ვერვის ვეტყვი მართ-
ლის გულთ: „ქეშმარიტად!“, სანამ არ აღზღ-
გება დედა ქართლისა!..

გიორგი ფოცხოველი

ოზიუსტ როდანი

(ესკიზი)

— უნაურთა! ნუ თუ თქვენში კიდევ მოიხლო-
ვება ნაზი ხელფანებისადმი? ეს ხომ სრულიად არ
ეუფრება ჩვენს ხანს, როდესაც ხელფანთა ადგილი
დაიჭირეს ინჟინერებს და მექანიკებს!— ჩამართვა
სიტყვა როდენის თაყვანისმცემელს სტუმარს, რომე-
ლიც მისუფიერ მარონტებულს ესტატთან, რათა
გაეგო მისი ავტორიტეტის შეხედულობა ხელფან-
ების შესახებ.

„უ რამ თვით მადლი რენესანსის ღვთაება,
ანაქვეყნიური ლეონარდო და ვინჩი, თავის სამუშაო
ატედავს აწეობდა ისე, რომ მიწოდებდას მუშაო-
ბის გუნება გაუღვიძებინა მხიბლავი ბუნების შემოქ-
მედში, რომლის ცურ ნიჭს, ტენიას, ერთის შეხე-
დლობით, არ ესაზღვრებოდა ეს წყნარდამანი, ამის
შემდეგ განსაკვირვებელია, რომ ეველა ხელოვანი,
მცირე თუ მორკული, ესე ატეკოდას?! ლეონარ-
დოს უღალაზ მადლს ანიჭებდა მუსიკის ტრეპილი ხმე-
ბა, თანამედროვე როდენი-ჯო გუღიანად მუშაობს
1900 წლიდან მხოლოდ თავის კვლევებს სახლში,
მედლის ხელოსნ, ზატარა სოფელში, რომელსაც
ქეჭიან „გალ-ლეური“. საკმარისია ერთხელ შეხე-
დომი ამ სახლს, რათა მიგვხადოს, რომ იგი ეგუთ-
ვის ხელოვანს, ისე უღაერებს თვალს.

აქ, უსაჩინო სოფელშია წმიდან-წმიდა იმ დი-
დებულ მექანიკის, რომლის განცხობვებულნი
ქმნილებანი ამჟამებზე თითქმის მთელი დედამიწის
მუზეუმებს. აქ მოძრაობს ღვთაური წაღვარა იმ არ-
სებისა, ვისი შეგირდობაც სსიქადუღად მანჩინათ
ხელოვნების მისხურთ. განა არის ისეთი ხანდაზრ-
და მექანიკა, საფრანგეთში ნამოთი და დაბრუნე-
ბული სამშობლოში, რომ არ ეთქვას, მისი შეგირ-
დი ვარო, თუმცა როდენს არ ჰყოლია შეგირდები,
იშეათი გამიზნავლისის გარდა? რითი ახისნება ეს
წმიდა სიღრუვე? იითი, რომ შეგირდობა ეველას-
გან აღსრულედ მექანიკისა, მართლა რომ, ცოტათ-
დენად მინც მადლებს მათ საზოგადოების თვალში.

აგვისტო როდენის მუშაობის მეთოდი განსა-
კვირებითა, მსთანაც იგაგვა, როგორც ლეონარ-
დოსი, თუ, რასაკვირვებელია, მივხედობთ მხედველ-
ბაში განსხვავებას, რომელიცაა მხატვრობის და ქან-
დაკების შორის. მონა ღიხანს შემოქმედდი დღის
ეურადლებით შეისწავლიდა სხვადასხვა გრძობის გა-
ულობას ადამიანში. მიწვევდა გლეხებს, უამ-

ბობდა ნაირ-ნაირ შესაქვეყნარ აზრებს, მათგან
შიში, რათა საკუთარის თვლით ენახს, რა ცუდიდე-
ბა მოხდა მათი ხსენს გამოშეკვეყნებაში. როდენის
სახელისონ მარად სავსეა ტიტველ ქალთა და კაცთა
ცხოველ მოდლებით. ესენი მოძრაობენ, ისვენებენ,
მუშაობენ, ესტატა-ჯო მთელი დღეობით თვალს
აღებებს მათ და ამის გამო გასაღებელი მცოდნეა
ადამიანის კუნთების თამაშის, მოძრაობის, სხეულის
მოხსუნდობისა. ღამაზი ხაზი მისთვის „მისი ევე-
ლაა“. სულელი გელები, რომელნიც უმისხეოდ კი-
სრებს იგრძელებენ და უსისიებენ უცნო გამუღვალს,
ავაყოფილებენ მას თავისი სკვანხური შემოხაზუ-
ლობით.

ბუნებაში ეველათური მშენებრია ხელოვანისა-
თვის. მატრი დაუნდობლობით გვიხატავს ჩვენ რო-
დენი კურტიანს ქალს „მსოფუნსახვ დიერს“. ოდეს-
დაც სიღამაზეში მზის მოციდესს, ამაჟს უსახდვრო
მომიხიბლობითა, ხელს სცხვენან თავისი უმსგავსო-
ბისა, მართლაც: საზად მოხრილი, გამიზნარი, მუმი-
სავით; დამკვანრი ძუძუებით, უწალოდ დანახებუ-
ლი მუცლით და დამახინჯებული ხელებ-ფეხებით,
იგი წარმოადგენს კანის სსირცხვილო დამხობას და
შეგვიფანს უსახდვრო მწუნარებაში.



მზეთუნახავი ომიერი

ქრწვის მენიერება, როდენის წარმოდგენით,
ნამეტანი მარტოვია.

— იმუშავე ისე, გვასწავლის იგი, რომ სკანს
ანსადეს არ შეხელო, როგორც ზეღაბინს, არამედ
ქვდავ მისცე მას სიღრმე. სწორედ ეს არის ის
საიდუმლოება, რომლის ძალით მოძრაობისთან ერთად
მექანიკა თავის ქმნილებას ასულდგმელებს, ადა-

ზარაკებს უსიტყვოდ.

მაგრამ რა არის ეს მოძრაობა ხელოვნებაში? ეს არის უნარი ხელოვნების გადმოკვრეს შთაბეჭდილება იმ მიხერა-მოხერას, რომელიც გასტანს რამდენიმე წაშს, უნარი, რომელიც აკრძობს იმებს მუყურებელს ნაკეთის რატმს. აბა, შევხედოთ როდენის იახე ნათლისმცემელს! ჯერ მარცხენა ფეხს! — ჩვევა ვგრძობთ, რომ მას დასწოლად მიმედ მთელი ტანი, გადავიდეთ სხვა მარჯვენაზე და ვგრძობთ, რომ ტანი შიერა. დავტკბვრდეთ უკანასკნელ მარცხენა მხარს; — თითქმის იგი იწვევა, რათა ჩამოხრევიდამ ფეხს შესდლოს სხეულის გადატანა წინ.



იოანე ნათლისმცემელი

როდენსაც შტუდარი შექანდაკე ქმნის ნაკვთს, უბირველესად უნდა ჩაისახოს გულში მისი საერთო მოძრაობა, რომელიც ბოლომდის, წვრილმანების გამოსახვამდის, არ უნდა დაიწყო; ამისათვის კი აუცილებლად სჭირია სინტეზის ნაჭი, ანა-ჩვეულებრივი განხერბივი მუშაობა. სწორედ ეს ნაჭი იყო მაიკეზი იმისა, რომ ლეონარდომ დაჭირა სახატო ადგილი მსოფლიო მსატყარათ ტანჯანში; სწორედ ამ ნაჭით ახსნება დიდება როდენისა. ახრი უნდა იუყვს ხელოვნებაში, რადგან მან უნდა გამოიწვიოს ოცნება და ცოდნა.

იშეათს მომაკვდავს შესვლამა ხვედრად ის შატევი და თაყვანისცემა, რომელიც ერგო ოკიუსტ როდენს. მშინ, როდესაც რენესანსის არწივამ ლეონარდომ სუდი ადღაა, დაიჭი უბა თანამემამულეთაჯან, საერანკეთში, როდესაც კარებულაა არათუ სამშობლოში, არამედ უტყაეთშიაგ, როგორც ტიური ნაჭით და დეთაებრივი ნაჭერწკლით დაჯილ-

დოგებულა ადამიანი. ბედნიერი! იგი თვით შატრან ფენინაშიც-გი, ჰელსინკის ნაციონალურ მუზეუმში, ამაყად წარმოდგენილია გვერდით თვით ერის სიამაყის ხელოვნებისათ.

დავ. კილხანიძე

ე დ ე მ ი ს კ ა რ თ ა ნ

... და დაიხურა სამოთხის კარი. ბედმა უმუხთლა ედემის შვილებს! შორით მოესმით ქაჯის ხარხარი ღვთისგან შერისხულოთ და განდევნილებს. ცა მრისხანებდა, ღმუოდა ქარი. იკლავებოდა ღრუბლებში ელვა; წარბშექმუხენილი სღუმეა ადამი, ფერდაკარგული სტიროდა ევა...

კ. კიკინაძე

ს ი ტ ყ ვ ა

ეს იყო შორეულ წარსულში. მსოფლიო ბნელეთს მოეცვა. იღვნენ ერთის მხრით განცხრომის ძენი — მეორეს — ჩაგრულ-გვემუღნი. პირველთ მეორეთა უბედობაზე აეგოთ თვისი განცხრომის სამეფო. ჩაგრული არ ყავდა მხსნელი და ეს მხსნელი მოველინა მათ. ის იყო სიტყვა. სიტყვა დაიბადა მწყემსის ბავაში, გაიწოთენა და გაიფურჩქნა სიღარიბეში, სიტყვა ესე პირველად აღინთო ღარიბულ ქოხში და ცხოველმყოფელი ძალით გააღზო ბნელით მოკული სული ჩაგრულ-გვემულთა. სიტყვა ესე, დამაშვრადთა და ტვირთმძიმეთა სახსნელად მოვლინებული, ღახვარივით ჩაესო გულში განცხრომის ძეთ. აღზღვენ წათელი სიტყვის წინააღმდეგ ბნელეთის მოკიქულნი. მწიგნობარ-ფარისველნი შეიარაღდენ მათი ბატონობის შემმუსრავის წინააღმდეგ და მხსნელი კაცობრიობისა ჯვარს გააკრეს, მოკლეს სიტყვა, მარა ნათელი სიტყვა აღსდგა მკვდრეთით და თავისი სიკვდილით დათურგნა მკვდილით. სიტყვის აღდგომა — ეს ნათელის გამარჯვება ბნელზე; სიტყვის აღდგომა — ეს ჩაგრულთა გამარჯვება მჩაგვრელებზე. იხაროდეთ, ტვირთმძიმენო და მაშვარალო, რამეთუ სიტყვა, მოვლინებული თქვენად სახსნელად, დღეს აღსდგა. გოდებდეთ, მჩაგვრელო, რამეთუ სიტყვა, თქვენ-მიერ განწირული, არ მომკვდარა-ცოცხალია.

ილია ბახტაძე



ნიკო ნიკოლაძე
ავადმყოფობის გამო

აღდგომა...

აღდგომა დილაა...
სახლიდან გამოვედი და მძიმე ნაბიჯით
დავეშვი ქალაქისაკენ...

ზართა გუგუნი ჰაერსა სძრავდა, ქალაქს
საღღესასწაულო ელფერი დასდებოდა... და
მეც მწყუროდა შვება-სიამე...

ვიწრო ქუჩებში მოვდიოდი, ქობახათა შო-
რის. ერთი ჩაშვებნელებულ ქობის ღია კარი-
დან მომესმა:

— დედა, პური ვეღარ მოიტანე?..

— იქნება, შვილო, იქნება, ცოტა კიდევ
დაიცადე...

მე შევედქე. კვალად მომესმა ბავშვის ხმა:

— დედილო, რა ამბავია, რომ ამდენ ზა-
რბესა რეკავენ და ყველანი მორთულან?..

— ღღეს... აღდგომაა, მიუჯო სევდიანად
დედამ...

— აღდგომა?! მერე ჩვენა? ჩვენ არავინ
არას მოგვითანს?! ტანისამოსს, პასქას...

დედამ მწარედ ამოიგინა:

— ილაკე, შვილო, მამა ციხიდან ჩქარა
გამოუშვან და შენც გექნება ტანისამოსიც და
პასქაც...

სწრაფად ჩავცდი ამ ქობს, ფართე ქუჩა-
ზე გავედი და ქვაფენილზე გავწიე...

ერთი დარბაზის მეთხე სართულიდან
შემომესმა მოლხინეთა ხმა:

— გრიგორიო, გრიგორიო, ეს შენი
საღღეგრძელო იყოს... გიოცხლოს ცოლშვი-
ლი და ასეთი საესე სუფრა არ დაგილიოს...
ქრისტე აღსდგა!..

— ქეშმარიტად!.. ამინ!.. ტუშ! — დასძა-
ხეს მოლხინე-გამომთვრალთა შერეულად და
საკრავთა ხმა ზართა გუგუნს შეუერთდა...

გამოვცდი სვებედნიერთა უბანსა და მწა-
რე ფიქრთა განსაფანტავად მტკერის პირისაკენ
გავეშურე...

თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ქალი, ფეხში-
შველი, თავშალახდილი, ძონძებში გახვეული,
წესიერების მცველს ჩაებოქნა და შუა ქუჩაზე
მიჰყავდა...

ქალს სირცხვილ-სინანულის აღმური ას-
ლიოდა სახეზე...

— საღ მიგყავთ, გაუშვით, — გზა გადა-
ვუჭერი წესიერების მცველს...

მან ერთი შემომიბღვირა და ქალითურ
თვის გზას გაუღდა...

— რად დაუჭერიათ?


— ეჰ, შვილო, ჩემის თვლით რომ არ
დამენახა, არ ვირწმუნებდი, — მომიგო ერთმა
მოხუცმა: საცოდავი ქალი ქუჩისპირას კედელ-
თან იყო ატუზული, კრძალვით, მორიდებით...
ამ დროს გვერდს ჩაუარა იმ კაცმა, — აგერ,
ხომ ხედავ, როგორ მიიბღინძება... ვგონებ ამ
ქალაქის გამოჩენილი მდიდარია, — ხელი გაუ-
წოდა ქალმა — მიწყალოზე რამეო, და წყალო-
ბის ნაცვლად... ჯოხით აირიდა, მასთან წესი-
ერების მცველს ანიშნა: ასეთ მაწანწალოებს ქუ-
ჩაზე რათ აწაწანებთ, ხატოხან და კეთილ-
მორწმუნე ქრისტეან ხალხს აწუხებენო...

შეპყრობილი ქალი თვალს მიეფარა...
ნაღვლიანად გაფშორდი მოხუცს...

— ქრისტე აღსდგა, ძმაო! გადამეხვია
მეგობარი, გადამკოცნა და უტბად მკითხა: რა
დაგმართვია, არ აცი, რომ ღღეს აღდგომაა...

— აღდგომა?! კვითხე გაშეშმიშებულმა
და უაზროდ ავედუქე...

იპ





აღგომის ლამე

ლამეა... მზებნელ ქვეყანას ჯერაც არ ვასთენებია, გოლგოთის მთის ქვეშ, კვენსაში, უფრო ღრმად ჩასძინებია.

ლამეა. საპრობილეში ზის სათნოების უფალი...
ზოსთქვამს და მოსთქვამს მარიამ, იესოს ქირისუფალი...



კ. ანდრონიკა-შვილი

ქიათურის დასის რეჟისორი



ბ. გვარაძე

ბაქოს დასის რეჟისორი

გ. ქუჩიშვილი

ს ი ნ ა თ ლ ე

(იხ. „თეატრი და ცხოვრება“ № 4)

მოქმედება მესამე

სურათი I

მთიანი ადგილი, აქა-იქ ტყე მოსჩანს. უკან სტენის მარცხენა მხარეს ფართო გამოქვაბული. ცისფერი სინათლე. იქვე გამოქვაბულთან ნაკადული. საზოგადოდ სურათი ნაზი და მომხიბვლელია. გამოქვაბულიდან გამოდის ავთანდილი. ხელთ უკავია ოქროს შანდალი საწოლით. დაგლეჯილ ტანისამოსშია. ხანჯალი ჰკი-ლია.—გამოვა გამოქვაბულიდან და ნაკადულთან დაჯ-ღდება, წინ დიდივანა შანდალს. ამოიღებს ტალკეებს და ცეცხლს გამოქვეყნებს. ანათებს სანთელს და უშალ ტყიდან გამოცვივლებიან ფერები: პირიმზე, მთვარა, ბროლისახე, ნათელა, წყრილა და ანკარა.

პირიმზე. მიირთვი, მეფის შვილო!..

ავთანდ. მეფის შვილო?... რომელი მეფის შვილი მნახეთ... ან საიდან განჩნით თქვენ?... ეინა ხართ?..

მთვარა. რა წამს ოქროს შანდალს აან-თებ, უშალ ჩვენ გაეჩნდებით, სადაც უნდა იყვი... ვის ხელშიც ეგ შანდალია, ჩვენ მისი მსახურნი ვართ... გააქრობ და ჩვენც გავქრე-ბით...

ბროლისახე. გვიმსახურე, მეფის შვილო!

ავთ. კიდევ მეფის შვილი.. მე რა მეფის შვილი მნახეთ-მეთქი... რის მეფე, რის მეფის შვილი? ერთად-ერთი მეფე და ქვეყნის მბრძ-ნებელი არის დიდებული ქაჯთა მეფე, სახე-ლოვანი დავრიში... მე კი მისი მონა-მორ-ჩილი...

წყრილა. ნუ თუ მართლა შენი ვინაობა არ იცი?

ანკარა. ნუ თუ დავაფიწყდა შენი სამ-შობლო?

ნათელა. ან თქვენი დიდებული სამეფო? პირ. ან სახელოვანი მეფე ჯიმშერი, მამა შენი?

ბროლ. შენა შენებით საცხე დედა, დე-ლოფალი?

მთვ. ნუ თუ არც შენი ტოლი და ამ-ხანავი ძმა გორჯასპიც არ გაგონდება?..

წყრ. რამ დაუკარგა მესხიერება?..

ნათ. არც ბრწყინვალე თქვენი სასახლე, გულ-წარმტაცი სასახლის ბალი ვახსოვს?..

ავთ. თქვენ თურმე სიზმრებს მიაშობთ და მე კი მართალი მეგონა... სასახლე, მეფე... სამშობლო... ძმა... დედა... ოპ, წინად თით-ქოს მაგგვარ სიზმრებს ვხედავდი ძილში... დაი-ცა, დაიცა... სასახლე... ოქროთ მოვარაყებუ-ლი გაჩირადნებული დარბაზები... ეზო, მოე-დანი დიდროვანი კაკლის ხეებით... ბალი... ჰო-ო, წინად ხშირად ვხედავდი სიზმრად... ხშირად ვილაც მშვენიერი ქალი მესიზმრებო-და, მიაღერებდა, მკოცნიდა... სულ კი სტი-როდა... ოთხი წელიწადი მეტი იქნება ეს ქა-ლიც აღარ მინახავს სიზმრად...

პირ. სულ გადავიწყებია...

მთვ. გადაგვარებულა!..

ბროლ. მოუჯადოებიათ!..

ნათ. მე კი მგონია, ჰკვახედ შერყეულა...

წყრ. ქაჯების მიერ შეჩვენებულია...

ანკ. ჯოჯოხეთით გარდაქმნილია...

პირ. აქ რად მოსულხარ, ან საიდან მოს-ლიხარ?..

ავთ. ჩემმა ბატონ-პატრონმა დიდებულმა ქაჯთა მეფემ გამოგზავნა, აი, ამ შანდლისა-თვის... ეს შანდალი უნდა მივართო მას... ცხრა მთა გადმოვივარე, ოთხი წელიწადია რაც მოვდივარ და ჩემი მეფის ბრძანება კი აღვას-



რულე... ახლა დავბრუნდები და მივბრუნდები შანდალს...

მთვ. მაგოდენა ხანს რითი საზრდოვებდი? ან ჰემა არ გინდოდა, ან სმა?..

ავთ. ჰმ! ჩვენს მეფეს ყოველისფერი შეუძლიან... რომ მგზავნიდა, აი ეს სალამური მიბოძა. ამას დაუკრავ და უმალ მომერთმევა ყოველგვარი სასმელ-საჭმელი...

ფერიები. (ერთად) ახლა კი გვესმის... ახლა კი ვხედავთ...

ავთანდ. დიდი გზა გამოვიარე, ბევრი რამ ვნახე... ბევრი რამ შევისწავლე... ვარჩევ და

ვიგებ ფოთოლთ შრიალსა, როდესაც ნახი სიო მათ შეეთ. მაშემა... მესმის ტყის ჩურჩული და ხმაურობა... ფრინველთა გალობა... მგლის ღმუილი, ტურის კნავილი, ბულბულის ყეფა, ყვავის ჩხავილი, მერცხლის ქიკიკი, - ყოველისფერი შევისწავლე... ბევრი რამ ვაღამხნა, მაგრამ ძლიერია ქაჯთა მეფე და მის მოციქულს, მისგან მოგზავნილს ვერარას ავნებს ვერვინ ამ ქვეყნად... ვებრძოლე ვეფხვსა, ვომელომსა, დავამარცხე მეგლთა ხროვა... აი, ეს ხანჯალი, ხომ ხედავთ რა კარგია... ხელად ვიშოვე... ვილაც მგზავრს გზაში დასძინებოდა,



ეს ხანჯალი ზედ წყარა... მივებარე, ვწვდი დიდს ლოდსა და დავეცი თავში... არც კი ამოუხორავს, სწრაფელ სული ამოსძვრა... შევხსენი ხანჯალი და არა ერთხელ დავლოცე ქაჯთა მეფის დიდება...

პირ. შენ მოჰყალ ადამიანი?..

ავთ. მერე რაო?..

მთვ. მძინარე კაცი?..

ავთ. მაშ ისე ხანჯალს ხომ არ დამანებებდა?..

ბროლ. ნუ თუ არ შეგეცოდო?..

ავთ. ხანჯალი მომეწონა და შეცოდება კი არ ვიცი რა არის...

წკრ. საშინელება!..

ავთანდ. ოთხი მთა რომ ვაღმოვიარე, მაღალ მწვერვალზე ვილაც მეცხვარე იჯდა და აი ამ ტალკვესით ცეცხლსა ჰკვესავდა... ცხვრის ფარა ფერდობზე გაფანტულიყო... შორი-ახლოს ძაღლები ეყარნენ... მივედი, მივესალმე, ლაპარაკი ჩამოვუვდე. მიმიწვია, ახალი ყველით და კარაქით გამიმასპინძლდა... ამ ღროს მარცხნივ ძაღლმა დაჰყეფა. მეცხვარე იქით მიბრუნდა... ვატაკე ზურგში ხანჯალი... ერთი კი დახირიალა და დავგორდა ფერდობზე... დავეწიე, ტალკვესი წავგლიჯე ხელიდან და გამოვ-

წიე... კიდევ მაღლობით ვახსენე ქაჯთა მეფის სახელი...

ფერიები. საშინელებაა, საშინელება... ქვესკნელის ძალას შეუბოროტია... (აუთანდაღი მაწყება, თათქას სოფელქს. ფერაიბა ღუხაქებს უნაყუბენ)

ავთ. თითქოს გამოქცაბულში ბევრი მეძინა და მინც კიდევ ძილი მერევა... (ამოქნარებს, ფერაიბა უფრო სიჩქრათ უნაყუბენ ღუხაქებს. აუთანდაღს ჩაქისინება)

პირ. ჩაეძინა. აბა, ჩქარა ფერიებო, უშველოთ, განვაშოროთ ქაჯთა ძალა, დავიხსნათ ჯოჯოხეთისაგან!.. სწრაფლ ამოაცალეთ სალამური და ტალკვესი (ამაღდაღს), ხანჯალი მოხსენით (მოხსნას), მოიტათ აქა... შეულოცოთ და განეწმინდოთ ყოველ სიბოროტისაგან... (ფერაიბა სწმინდაღენ ამ ნათეებს აავისი ღუხაქებით)

ფერიები. შავანგელნო ძალნო, შხამით სავსენო, ქვესკნელის მკვიდრნო, ბოროტის მქნენო, ნუ ერჩით ქაბუქს! წარედ გაჰქრენით, ჯურღმულს ჩავარდით!

პირ. როგორ იცვალა ფერი სალამური, როგორ გაბრწყინდა ტალკვესი და ხანჯალი... გაეცალა ეშმაკის ძალა, წყევო და კრულვა... (სადამურს და ტალკვესს ისევ ჩაუღებენ ჭაბუში და ხანჯაღს შემარტყამენ)

მთვ. ახლა კი მოიგონებს ყოველისფერს... (ისმის მუსიკა და ხორო: მსამშობლო, ჩემო ზურმუხტო! და სხვა. ფერაიბა უნაყუბენ ღუხაქებს. გამოქცაბულში ცისფერი სინათლე და ბუნდაფანად გამაჩნდებაან მეფე ჭამჭერი, დედაფაღი და გორჯანში. მთ ხელები აუთანდაღისაკენ აქათ გამოშვერდაღ, თითქოს ეძსხან)

ავთ. (ძიღში წამაჯდება და გაიშურს ხელებს გამოქცაბულისკენ) სამშობლო... დედა... მამა... ძმა...

პირ. ხედავს, ხედავს... აგონდება!.. (მაჟა და შეუბერაფს აუთანდაღს. გამოქცაბულში სინათლე ჰქრება)

ავთ. (წამოხტება) სამშობლო... დედა... მამა... (უვარის) მახსოვს, მახსოვს... დედა, დედა... წამიყვანეთ!.. მასწავლეთ გზა!.. (მუსიკა და

ხორო ნახის ხმით) მახსოვს ჩვენი სასახლე, ჩვენი ბაღი, ჩვენი კაკლის ხეები... ჩემი ტოლამხანაგები... გევედრებით, მასწავლეთ გზა... მიჩვენეთ...

პირ. წაღი, წაღი!.. მიჰხედე შენს სამშობლოს... იგი დიდს განსაცდელშია... შენ მოგვლოდებიან გლოვით და სვედით დატანჯულნი შენი მშობლები, შენი ერი... აიღე ხელში შანდალი... იგი სინათლის ქვეყნიდან არის... იგი გაგიშუქებს სწორ გზას... მავას მისდგი... ნურსად აუხვევ... სინათლით მოფენილი შენი ქვეყანა კვლავ აღყავდება...

მთვ. უძლურია სინათლესთან ქვესკნელთა ძალა...

ბრილო. სინათლე არღვევს სიბნელეს...

ნათ. აშუქებს და აცხოველებს ქვეყანას...

წკარ. კვლავ გაიხარებს მეფე ჯიმშერის ბრწყინვალე სასახლე...

ანკარა. კვლავ გაიფურჩქნებიან და გაიშლებიან ნაირ-ნაირი ყვავილ მცენარენი სასახლის ბაღში...

ავთ. მივდივარ, მივდივარ... ახ, ნეტავი ფრთები შემესხას და უმაღ მიფერინდე ჩემს სამშობლოში, ჩემს მშობლებთან... დედა, მამა, ძმაო... (მუსიკა უკრავს „სამშობლოს“)

ავთ. თითქოს გუშინ დავტოვე ჩვენი მშვენიერი ბაღი... თითქოს გუშინ მოვშორდი დედინემის მკერდს... თითქოს გუშინ მომგლიჯეს მშობელ ერს და მიწას... (დაგება, შანდაღი ხეღში უკავია) სინათლე, შენ გამიშუქე სწორ გზა, შენ მიმიყვანე სამშობლოში და, ვფიცავ, მთელს ჩემს სიცოცხელში არ გიღალატებ.

პირ. რა გაჭივრებაშია კი უნდა იყო, მიიღე ყურთან შენი სალამური, იგი განწმენდილია ყოველფერ სიბოროტისაგან, იგი ახლა წყაროა სიკეთისა, სიმართლისა... მიიღე ყურთან და იგი გიჩურჩულებს როგორც უნდა მოიქცე... მაღლა გეჭიროს ოქროს შანდალი, მნათობი წინმსვლელობისა და წარმატებისა. წაღი, დაადექ გზასა... ნურსად შეუხვევ, ნურსად შეჩერდები... შანდალი და სალამური კარგი თანამგზავრები გყავს... გზაში არ მოგწყინდება... შანდალი სამშობლოს სურათებს დაგიხატავს თვალ-წინ, სალამური ნახ მშობლიურ ჰანგზე დაგიმღერა... გააქრე სანთელი, ჩვენ წავალთ... და გახსოვდეს, როდესაც კი ანთებ

ასეთს უსიამოვნებაში ჩააგდო. ვსწერდი, როგორც მასსოვს, რომ არაგინ ერისთავიანნი არ შეუღია სსსკში და თუ ვინმემ თავისი მახინჯი სსსე იტნო სარკვეში, რა ექნა—მოქოქი. მასუსხდ გიორგიმ მადე მომწერა:

„ძმაო სოფრომ. მოგიცლია ერისთავების შესახებ ბოღიშს იწერები. მე ზუმრობითი მოგწერე, თორემ სწორე, ოღონდ შენებური ცოცხალი კალმის ნაწერი იყოს და ტი პები იყოს გამოყვანილი, თორემ ჩვენ ვის რას დავდევთ, საქმეც ეგ არის, რომ წიწმატობენ, სჩანს თავიანთ სუ-რათს ხედვენ და ჩვენც ხომ ეს გვინდა, რომ მახინჯს თავისი თავი სარკვეში დავანახოთ. ეგ კიდევ რა! ყვე-ლაზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ ამ ძველ კაცებ-ზე უფრო კიდევ ახალგაზღები წყობიან. ჩვენი ინტე-ლიგენცია!.. ღმერთო ჩემო, რა ნაირად დაიკენ. ლამის ჟანდარმები არ მოიწვიონ, როცა მათ სტატია რამე არ მოეწონებთ. ღმერთო, მიუტევე მათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმონან. შენი ფოთი მარჯვეთ არის. იქ-ნება სამეგრელო-გურიისკენც მიაწვდინო ხმა, რომ ჩვენ ი „კვალი“ გავრტყდეთ. შენ წერე, ძმაო-ჯან, წერე. შენი „ბიძია თომას დლიური“ აწყობილი გვაქვს, მაგ-რამ ჯერ კიდევ ვერ მოთავსდა ვახუთში, რადგან ნი-ნო შეილის მოთხოვნამ აღარ დაგვანება ადგილი იმ კვი-რამში დაიბეჭდება. „კახბუგის მოგონება“ როგორ ბრძან-დება? როდის მოგვაწვდენ? შენს ერისთავს პოლტავაში მივაწვდინეთ ვახუთი „კვალი“. ბიჭო, ვინძლო ერთი ფუ-ლით დაგვეხმაროს. იონა მამიკოხე და თხოვე ჩემმაგე-რად რამე დაწეროს „კვალისათვის“. ყოვლად სამღვდელ გრიგოლის ლოცვა-კურთხევა შენის მეოხებით გადმოა-ვლინე რედაქციასზე. ტასონ სიყვარულით მოგიკითხა.

შენი მოყვარული ძმა **გიორგი წერეთელი**
3 თებერვალი 1894 წ.

P. S. გიგზავნით კვიტანციებს და გთხოვთ გაი-სარჯოთ და გადასცეთ თქვენ კანცელარიაში.

ან. წერეთლისა.

ამ წერილში მოხსენებული პოლტაველი ერის-თავი ვასტანგ შეიყის დროს გადასულ ერისთავის ჩამომავალია. პოლტაველან ალექსანდრე მდებრიშვილ-მა მომწერა, რომ ერისთავი ძიელ მსურველია თა-ვისი ძიელ სამშობლოს გაცნობისა, ჟურნალ-გაზე-თები გამოუგზავნით. მეც მივეწერე გიორგის და გაუგზავნე. ფულით დახმარებაც ვთხოვე, როგორც მასსოვს, მდებრიშვილით, შესაძლებლობით, მაგრამ ერისთავი ამ ხანებში გარდაიცვალა და ვიღა შეგვე-წოდას.

ა. შეიქმნილი



ი. ვალოვსკილი
განკურნების გამო

არონ შეენსე!

ბიბლიური სურათი ერთ მოქმედებად

მ. მ. მ. მ. მ. მ. მ. მ. მ.

რუბენ—ახალგაზრდა მიმღევირ ქრისტიესი
სარა—ცოლი რუბენისა.
არონ—ნაშნანავარი რუბენისა.
მხედართმთავარი.—რომაელი
ონი მხედარი.

სცენა: გეთსიმანის ბლი, მშვიდი, სულგანაბული. ერ-თი მხრით მოსჩანს ზეთისხილის მთა, მეორე მხარეს ქ. იერუსალიმი. საღამოა, მზე ნელ-ნელა ეფარება მთებს, რუ ნელა მიიპარება ბალახებში. წელი სიო დასისინებს და არხეც ფოთლებს. ისმის იადანის ვალომა ფარდის ახლისას დიდ-ხანს სიჩუმეა.

რუბენ და სარა (გამოდიან გადახვეულინი)

რუბენ. აქ დავისვენოთ, როცა კარგა და-ღამდება, მაშინ შევიდეთ იერუსალიმში, რომ არ გეცინონ. (მუხსა) აი, ეს ის ადგილია, ჩე-მო სარა, სადაც ამ რამდენიმე წლის წინად შეიპყრეს ჩვენი რაბი იიშუ. აქ მოსტყრეს ის ხე, რომელსაც უნდა გამოეღო ნაყოფი ძმაბა-სიყვარულისა (თაყვანტემის ნიშნად თავს დახრანას).

სარა. არა უშავს-რა, რუბენ. ყოველ მოქ-რილ ხის ძირში ახალი ყლორტები ამოდის და ხშირად ხდება კიდეცა, რომ უფრო ნაყო-ფიერი გამოდიან და აი ჩვენც...

რუბენ (აწვეუტინებს ადტაგებულა). იმ ყლორ-ტების მაგიერობა უნდა გავსწიოთ, არა? ხომ ეგ უნდა გეთქვა; სარა? ა... მითხარი, მითხარი, ჩემო კარგო. მითხარი კიდევ ეგ სიტყვები,



რომლის მზგავსი კარგა ხანია ჩემს ყურებს არა ჰსმენია და გულს დაობლებულს მკურნალ მა-
ლაში არ დასდებია. (ეხევაა და ჰქონის) წავი-
დეთ, ჩემო სარა, და გზადაგზა ყველგან ჩვენი
გალილეველ რაბის სიტყვები ვიქადაგოთ, ვიდ-
რე მივახწვეთ დანიშნულ ქვეყანას—იეროსას,
სადაც ჩვენი მოვალეობა მიგვიწვევს. რაც უნ-
და დაბრკოლება შეგვხვდეს, რომელსაც, ეჭვი
არაა, ხშირად ვიგეგმებთ—არ შევეუშინდეთ. ხომ
თანახმა ხარ, სარა? ხომ არ შევეუშინდება ამ
ეკლიან გზაზე სიარულისა? ა?... (დასწდებთან)

სარა. არა, რუბენ. მე ყველაფერს ავიტან
თამამად. აკი გითხარი დილასა, რომ შენთან
შეუღლებების პირველ დღიდანვე შევიგენი, რაც
მოამლოდა ცხოვრებაში; და შენი ჩრწმინა ხომ
ჩემიც არის. მე სიამოვნებით ვუსმენდი ხოლმე
რასაც იიშუეს, როდესაც ის ჰქადაგებდა ჩვენს
იაქში. ხომ გახსოვს ქანაში რომ მოხვე-
დით და ღამე ჩვენსა გაათიეთ?

რუბენ. მახსოვს... მახსოვს, საყვარელო. ოჰ!
რა აღფრთოვანებით ვეგებები შენგნით ჩემი
ტანჯვის შემსუბუქებას, შენი სიტყვები და
გულწრფელი სიყვარული ძალას მითაყვეს
და მაიმნეებს. ვგრე; ვგრე, სარა! შენ ჩემი
ტვირთის შემამსუბუქებელი უნდა იყო. ხომ გახ-
სოვს რაბუნ იიშუე გოლგათოზე რომ მიჰყავდათ
საწამებლათ?

სარა. მახსოვს... შორი-ახლოს რომ მიგ-
დევდით.

რუბენ. ისიც ხომ გახსოვს, სისხლის დენისა
და ცემისაგან ძალა-გამოლეულმა ჯვარი რომ
ველარ ზიდა და დაეცა შუა გზაზე?

სარა. მახსოვს ეკლის გვირგვინით... საბ-
რალო მარია-მაკედონელი... რარიგ უყვარ-
და. როგორა ღვრიდა მძულარე ცრემლებს...
(იგრძელება)

რუბენ. ჰო და ისიც ხომ გახსოვს, პილა-
ტეს მხედრებმა სვიმონ კვირონელი; რომ მია-
შველეს და იმას აატანინეს მწვერვალოზე
ჯვარი?

სარა. კაპერნაუმში რომ შეგვხვდა? გულ-
კეთილი კაცი უნდა იყოს.

რუბენ. სარა! შენ ჩემთვის ისეთივე უნდა
იყო, როგორც სვიმონ კვირონელი რაბუნ
იიშუსათვის, მხოლოდ ერთის განსხვავებით: ის
თუ ჯარის-კაცებმა მიაშველეს, რომელიც სია-

მოვენებით იკისრა სვიმონმა, შენ უნდა შენმა
სიყვარულმა გიკარნახოს ესა.

სარა. მესმის, მესმის რუბენ... (მიეგრძნობა
რუბენს თავით გვერდზე და სტირის ჩუმად) ოჰჰ!
რა ხარ, სიყვარულო?... ვთმობ საყვარელ კა-
ცის გულისათვის დედ-მამას, მახლობელთ,
ძმებს, დებს და მშობელ ქვეყანა. (შაჟს)

რუბენ. ბიძია ანდრია მატუბინებს, რომ
ღრმად მოგუხუციდი, აღარ შემიძლიან დაწყებულ
საქმის განგრძობაო, მომეშველეთ, ახალი ძა-
ლებია საქიროვო.

სარა. შორს არის ის ქვეყანა?

რუბენ. საქართველო?... შორსა ყოფილა;
შავი ზღვისპირას. ორ-სამ თვეში მივალთ.
(დადი შაჟს. რუბენი წამოდეგება და გულ-ხელ დაჯ-
რებილი, ნადგაფანად გასაწყვეტს იერუსალიმს. სარა
საფიქრებელი ხის) ვაი შენ, დასაბამიდან
მარად ტანჯავაში მყოფო იერუსალიმო! (შაჟს)
ოჰ, იერემია! ნუთუ მართლა უნდა აღსრულდეს
შენი გოდება? ნუთუ მართლა უნდა დაიწგრეს
იერუსალიმი? (შაჟს) ჩემო საყვარელო სამ-
შობლოვ?... როდის გვიღრსება მშვიდობა? რო-
დის მოესწრები აღდგენას?... (შაჟს) ჰოი, უმა-
ღურო ხალხო ისრაელისაო! რისთვის გასწირე
ძე დავითისა? განა შენ არ იცავი, რომ ზის
ტოტები გაუშალო ფერხთა-ქვეშე და „ოსანა“
უგალობე?! როგორ მოგატყუა სხვადასხვა დი-
დების დაპირებებმა ანან-კაიაფა მღვდელ-მთა-
ვართა-მიერ? ნუ თუ არ იცოდი, რომ, რო-
მელ ხეზედაც იდექი, იმასვე სჭრიდი ძირში,
როდესაც იიშუს მაგიერ ავაზაკი ბარაბას გან-
თავისუფლება მოითხოვე? (იგრძელება) ნეტავი
მელირსება კვლავ დაბრუნება და ნახვა შენი,
დალუპულო პალესტინა? გულ-დაკადილი გეთ-
ხოვები მშობელო კრავ, რომ შემდგომ, ჟამსა
დაბრუნებისას, გიხილო შენ აყვავებული და
სულიერად ამაღლებული, რომ აღგებარდონ
მამაცნი შვილნი და გაენთავისუფლებინე მათ,
მოსეულ და შინაგან მტერთაგან მოქერილ
რკინის საღრესაგან. ოჰ, რა სიამოვნებით გან-
ვიმეორებდი და ეხლაც ვამბობ: „განათლდი,
განათლდი, ახლო იერუსალიმო!“ (სარას) ჩემო
იმელო, მოდი, გადაჰხედე უკანასკნელად რო-
მაელთაგან შექმნილ მონაბის ბუდეს.

სარა. ღიმილიდი, ჩემო რუბენ. (მივა და
მეფხევაა) რომაელთა შებრალება არა სწევით.

რუბენ. შეპხედე სარა, იროდისა და პონტოელის სასახლეებს, როგორა ბრწყინავენ ჩამავალ მზის სხივებზე? ჰხედავ ტაძარსა იელოვისას? იმ ტაძრიდან განდევნა რაბუნ იიშუმ ვაქარნი, იმ ტაძრიდან ამხილა ფარისეველ-მწიგნობარნი, აი, სწორედ იმ ტაძრში და სასახლეში სწყვეტავენ ბედსა ბედ-კრულ ურიასტანისას. (ასმის სმურთაბა და დიადნი მგზავრთა, სარა შეკრთება)

სარა. რალაც ხმაურობა ისმის, რუბენ. (ეურს უკლებს)

რუბენ. (სცენის სიღრმეში გადის და ათვალიერებს. ზუზა) მგზავრნი არიან. ეტყობათ პაქეზე დასასწრებლად მიდიან. აი გადახედე, იერუსალიმისაკენ ჩაუხვიეს. (სმურთაბა თანდათან სწყდება შორს)

სარა. საშიშოა არ-არის აქ ყოფნა? ხომ იცი, რომ სდევნიან ყველა ახალ აზრებით გატაცებულს და, მათ-შორის, შენცა.

რუბენ. რისა გეშინიან, სარა? აქ არა გვიქირს-რა. ბევრჯელ დაუფარავს ამ მტილს დევნილნი. ბევრჯელ ჰქონია რაბი იიშუმს გეთსიმანის მწვანე ბალახი სასთუმლად მოგზაურობით და ფარისევლებთან ბრძოლით დაქანცულს.

სარა. მერე და აკი აქ შეიპყრეს კიდევ.

რუბენ. რომ შეიპყრეს, მოწაფემ გასცა. იუდასთვის ოცდა ათ ვერცხლს რომ არ აეკრებდებინა თვალეზი, ვერ შეიპყრობდენ. ბიძია ანდრისაგან გაგებული მაქვს საიდუმლოდ სერობის დამეს მომხდარა ამბავი; რაბუნ იიშუმს რომ ეთქვა: თქვენთავანი ერთ-ერთი გამცემსო, ისკარიოტელს სახე ასწითლებოდა და გვერძე დაეწყო ყურება, არ გამოიგონო, მაგრამ იიშუმ თურმე ჰგრძნობდა ყველაფერსა და არაფერს ეუბნებოდა პირდაპირ. მოწაფენიც მიმხვდარიყვენ და უნდობლად უყურებდენ თურმე. იუდის ამბოროთ იცნეს იიშუმ აი ამ აღგილას. ეპ, იმნაირებმა დაპლუპეს, ჩემო კარგო, ჩვენი წმინდა საქმე.

სარა. რალად ჩამიხჩჩო თავი?

რუბენ. სინდისის ქენჯნა ვერ აიტანა. იმას ეგონა, იიშუმს მარტო — საპყრობილე მოელოდა. ისიც მოატყუილეს; და როცა გაიგო, რომ სინედრონიშა სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა იიშუმს, — ვერცხლი უკან მიუყარა და მეორე დღეს, აი, იმ ტოტზე ნახეს ჩამოკი-

დებული. არა ჰგავდა ახლანდელ ჯაშუშებს, რომელნიც სინანულის მაგიერ ამაცობენ კიდევ თავიანთი ნამოქმედარით, და დაგვარხარებენ მათ მსხვერპლებს. (ხელ-ნელა სწავდება. სარა დაჯდება ძირს, რუბენი წამოწევა და თავს კადათში ჩაუკებს სარას. სარა ეკლერება რუბენს რუბენიგ ჰმსწესბას. დიდი ზუზა. ამ დროს ჩუმად შემოიხაზება არანი და სეს ამოყვარება)

(დასასრული შემდეგ №-ში)

ბ. ერთწმინდელი

დღეს იგი აღსდგა...

...ის, ვინც დაამხო ძველი კერპები, ახალ ცხოვრების იქმნა ცისკარი, ვინც ფარისევლთ, მტარვალ-ჩაგვრელთა ამცნო ცოდვანი, დასცა თავხაზი; ვინც მცნებად მოგვცა ჩვენ სათნოება, ძმობა, ერთობა და სიყვარული, ვინც თვით შეება ბოროტებასა, რომ ტანჯვათაგან ეხსნა ჩაგრული, ვისაც გამცემლთ ბოროტის ენით ეკლის გვირგვინი დაადგეს თავზე, ვინც უსამართლო სამართლის ძალით სასიკვდილოთა გააკრეს ჯვარზე, — დღეს იგი აღსდგა ძლიერამოსილი, — სიკვდილით ჰპოვა სიცოცხლე გრძელი, მაშვრალთ კერაო, გაგიხაროდენ, ბნელში წინ გიძღვის, ვითარც კანდელი... მიტომც გილოცავთ წმიდა აღდგომას, — ახალ მესიის დღესასწაულსა, რომ მოცხმართ ჰირთაგან ხსნაში ყველა ტვირთმძიმეს და დაჩაგრულსა..

გ. შინატეხელი

ჩემი ნატვრა

ერთია მხოლოდ ჩემი სურვილი, ჩემი ნატვრა და ჩემი წყურვილი: სადაც კი არის ჩაგრული ერი — მსურს აღსდგეს, გახდეს ის ბედნიერი!

არ იჩაგვროდეს არსად არავინ, ყმაწვილი იყოს, გინდა ხნეირი... ერთსაც ვინატრი, რომ ჩვენი ერი იყოს ნაწაველი და ბედნიერი!..

გ. კირვალძე



ბუნება და ცხოვრება

(მესამე წერილი. — ფრანგულით)

იგივე გ. ლებონი (ან. „თ. დ. ც.“ № 3) უჯრედის სიცოცხლის შესახებ შემდეგს ამბობს:

სიცოცხლის ყოველგვარი მოვლენა, სხეულბრუნვი, გრძობიერი თუ გონებრივი დამყარებულია ცოცხალ ნივთიერებასა, ესე იგი პატარა უჯრედების კრებულის მოქმედებაზედ. ესენი ასხაფერებენ თავის მუშაობას სხეულის მოთხოვნილებისამებრ, რომელიც მუდამ ცვალებადია. ეს მუშაობა ისეთის სისწორით სრულდება და განსაკუთრებულის ლოღიკის შეფარდებით, რომელიც ჩვენსას ბევრად და ბევრად აჯობებს.

თვითეული უჯრედი ისე იქცევა, თითქოს გაცილებით უფრო უმაღლესი გონიერება ხელმძღვანელობდეს მას, შედარებით უღიღინდეს გენიოსთა გონიერებასთან. ყოველ ეპოს ეს პაწაწა უჯრედები ისეთს რთულ საქმეს არიგებენ, რომ აღამიანმა თავის გონებით ესევე შესძლოს, იგი დანარჩენთა შორის ისე მაღალ პიროვნებად იქნებოდა ცნობილი, თითქმის შესძლო იქნებოდა მისი ღმერთად დასახვა.

რომელიმე რძით-მკვებავი არსების სხეული უნდა მივიჩნიოთ ვეებერთელა ქარხანად, სადაც მრავალი მილიარდი თვალთუჩინარი ნაწილაკია და თვითეული მათგანი-კი მოქმედებუას უდრის. ხოლო ყველანი ნერვების ცენტრითა გამგებობის ქვეშე იმყოფებიან.

ეს მუშა-უჯრედები ჯგუფებად დაიყოფიან, რომელთაგან თვითეულს მეტად ძნელი მუშაობა აქვს ნაკისრი. მთელი ჯარი პატარა ქიმიკოსებისა განუწყვეტელად აკეთებს მეტად რთულ ნაწარმოებს, რომელსაც მუშების სხვა ჯგუფი ქარხანის სხვადასხვა ნაწილებში ეზიდება სხეულის—ორგანოების სარჩენად. ამ საზრდოობას მრავალი გადასაყრელი რამ რჩება, რასაც განსაკუთრებული მუშები განსაკუთრებულ გარედ ვასატან მიღებისაკენ ეზიდებიან, რომელთა მუშაობაც აგრეთვე განუწყვეტელია.

ჩვეულებრივ ქარხანაში მუშაობა საადვილოა, რადგანაც თვითეული მუშა მუდამ ერთგვარ სამუშაოს ასრულებს. ცოცხალ ქარხანაში-კი, მუშამ უნდა წამდაუწყებ განასხვავოს თავისი მუშაობა მრავალ სხვადასხვა გარემოე-

ბის მიხედვით. თანაც თავი უნდა დაიფაროს მრავალ მტერთაგან, რომელთაც საწინააღმდეგო იერში მოაქვსთ სხვადასხვა ნაწარმოების გაჩენით, მუშათა მოქმედების გასაბათილებლად. ამავე ქარხანაში მრავალფეროვანი საწარმოები კეთდება საუნებელად ამხედრებული, მაგრამ უჯრედები მყისვე მოწინააღმდეგე საწარმოებს გამოსცემენ, ისეთს, რომელიც პირველს კრიკაში ჩაუდგება და რომლის რთული ნაწილები გარემოების და მიხედვით ცვალებადია.

ამ მუშა-უჯრედების განსაკვირვებელი მუშაობა, მხოლოდ მრავალ საუკუნეთა კვლევაში ბიებამ დადასტურა, მაგრამ ამ დადასტურებამ ვერაფერი ვერ გვითხრა ძალიან ბუნების შესახებ, რომელიც ამ მუშაობას მეთაურობს. პატარა ქია რატომ გარდაიქმნების პეპელად? თესლი რატომ გარდაიქმნების ამწვანებულ ხედ? ზღვის ძირის თევზებმა როგორ მოიპოვეს ცეცხლის თვალეები, რომელთა მოწყობილებაც ახლანდელ კანდელის ლამპარზედ უფრო რთულია და რომელთა საშუალებით, ეს თევზები ბნელში გზას ინათებენ? როგორ ახერხებს მცენარის ქლოროფილის უჯრედი, რომ მზის სხივსანობას მიიზიდავს და გარდაჰქმნის მათ ნახშირბაქვად და ნახშირბადად, რომელთა საშუალებითაც მცენარე მისთვის საჭირო სახამებელსა და შაქარს აწარმოებს? ამ კითხვებზედ არავითარი პასუხის გაცემა არ შეიძლება.

უჯრედის სიცოცხლე რთულია და ამის მისაგნებად დიდი სხეულის დაკვირვება-კი არის საჭირო, არამედ სულ მარტივ ერთ-უჯრედიან სხეულისაც საკმაოა, როგორც მაგალითად ბაქტერიების.

ეს ერთ-უჯრედა არსებანი თითქოს მეტად მარტივნი არიანი, მაგრამ მათი მოქმედება-კი ჩვენთვის გაუგებარია, ზოგიერთი მათგან წარმოებული ქიმიური სითხე ძალიან მეცნიერულ ანალიზითაც-კი მიუგნებელი რჩება. ✚

ავიღოთ რომელიმე ბაქტერიუმი, რომელიც, მაგალითად, ზოგიერთ დიდი ხნის დარჩენილ სითხეში ჩნდება, მისი ზომა ერთი მილიმეტრის მეთასხედვით გაიზომება; ეს პაწაწინა სხეულები პატარა ჩხირის მსგავსნი არიან, რომ-



ლის შუაგულში გასაშენებელი უჯრედია, ირგვლივ გარსი აქვს შემოვლებული. ეს ბაქტერიუმი გრძელდება და მალე მგორეს თავისს მსგავსს აჩენს. ამნაირად ვსჭვრეტთ სიცოცხლის პირველსავე საფეხურზედ რალაც უცნობ ძალას, რომელიც ერთი უჯრედიდან სხვა რამდენიმე უჯრედს აწარმოებს.

მარტო ეს, გაჩენის ანუ გამრავლების ნიჟიკი არ არის ყველაზედ უფრო გაუგებარ მოვლენად დასასახი უჯრედის სიცოცხლეში. ესევე ბაქტერიუმები მეტად რთულ მუშაობას ეწევიან, მაგალითად მკვდარ სხეულს ჰხრწნიან და გამოარკვეულ ქიმიურ ნივთიერებად გარდაქმნიან, რომელნიც შემდეგ ცოცხალ ასებზეთა წარმოშობას უნდა გამოავლეს. ქვეყანა რომ ზოგიერთ ჯურის ბაქტერიუმებს მოკლებული იყოს, დედამიწის ზურგი მთლად მოფენილი იქმნებოდა გამხმარ ცხედართა სქელის გროვით და სიცოცხლეც დიდი ხნის დაშრეტილი იქმნებოდა ჩვენს მნათობზედ. ბაქტერიუმთა წყალობით ერთი და იგივე ნივთიერება დაუსრულებლივ გამოადგება ხოლმე ცოცხალ არსთ, რომელნიც დროთა აურაცხელ ტრიალში ერთი მგორეს მისდევენ. არსნი გარდაიცვლებიან და განუწუვეტილივ ხელახლად იზადებიან.

ზოგიერთ უჯრედებს შეუძლიათ მადნეულ ნივთიერების ცოცხალ ნივთიერებად გარდაქმნა, ზოგსაც განვითარება — დასრულებულ ცოცხალი არსების მადნეულად გარდაქმნა. ეს ორი მოქმედება ურთიერთის მოპირისპირება, ხოლო მათი სირთულე მეტად დიდი.

ვახ. ლამაზიძე

სამაგმეო დილო

ვერას, 3 მარტს, „ჯეჯილი“-ს რექტორ-გამომცემელმა, ზატვიცემულმა ან. მ. წერეთლისა, ამ უწინაღის სსარკებდოდ გამართა საბავშო დღეამ რომელზედაც წარმოდგენილი იქმნა ბიუსა „უჯვილითა შორის“, საკონცერტო განუფილებით, დაქვებული ფასითა. წარმოდგენამ კარგად და მწიკობრად ჩაიარა. ბავშუებს კარგად დაუსწავლათ თავისი სათამაშო რთლები და საკმაოდ თამაშდაც თამაშობდნენ. საკანკებოდ შეკერილი ტანთსაცმელი ძალიან უხდებოდათ და საერთო შთაბეჭდილება სსისამოწნო იყო, როგორც ბავშუებისათვის, აგრეთვე დიდებისათვისაც. მადლობის დღისა, „ჯეჯილი“-ს რექტორი, ასეთი კარგი დიდის გამართვისათვის.

მეტად საჭიროა აშუკარი გასართობის გამართვა, რადგანც ჩვენი ბავშუები მოკლებულნი არიან დედა-ჩხუნდ ეოველვად გასართობს და თუ კუნდავე მათს გრძობას არ მონვდა ცრტა რამ შობადიერი, დიდობისს ისინი ეოველთკს ზურუნდ შეკცნევეს ქართულ წარმოდგენას და სულ სხვა მხარეს გააწევენ. ამოტმანც ამ გრძობასაც, როგორც ეოველ სხვა გრძობას, სხრდობა უნდა. საჭიროა საბავშო წარმოდგენების რეპერტუარის გაძლიერება, რადესაც აძლენი ბავშვი ეტანება თატრის. ამას დიდი შენმისი ექნება და მნიშვნელობაც ძლიერი და წარუსხრედი.

ამისთვის დიდებისათვის ბიუების დამწერთ, ხნდახნ, ნუ დაავწყლებათ ეს ქანდრის ხსლენი, — ჩვენი ნონჩი თათან, რამელათ სიღრხლეთი დსსევე თვალები ეოველ საბავშო წარმოდგენის დროს სტენს ისეთის ცნობის-მოეფრებოთ შესტქმირან, რომ დიდებისც-კი გადააწარბებეს ხოლმე.

ამისათვის მუშობა საჭიროა და, ვისაც შეუძლია, არც უნდა დაიშუროს.

მეთვალყურე

ვჰრილი ამბები

◆ **დრამატურგი ი. გედევანიშვილი** სწერს „სინთლე“-ს მეორე ნაწილს

◆ **კ. ბლამონტი**, რუსეთის გამომჩენილი მგოსანი, 13 და 14 აპრილს თბილისს ესტუმრება და წაიკითხავს ლექციას „ხელოვნება როგორც ჯადოსნობა“.

ი. გრიშაშვილის ლექსები უკვე დაიბეჭდა. წიგნი გამოცემულია ფრიად მშვენიერად ქართ. სიტყვა-კაზმ. საზოგადოების მიერ. შეიცავს 226 გვ. ჰღრის 1 მ. დართული აქვს ავტორის სურათი და ფაქსიმილე (მთელი ლექსი).

რუსეთის შეხანიშნავს მგოსანს კ. ბლამონტს, როგორც შვიტყეთ, განუძრახავს ქართული ენის შესწავლა, რათა დედანში წაიკითხოს „ვეფხისტყაოსანი“ და ისე შეუდგეს თარგმანს.

◆ **ბარბარე ვლ. ალექსი-მესხიშვილის ასული** სუხოდოლსკის დრამატ. დასში მიიწვიეს მოსკოვს.

◆ **წარმოდგენისათვის ნება დასართვლად** კავ. უმაღლეს მთავრობასთან წარდგენილი იქმნა ახალი პიესა „პანსიონის ზულდეთა შორის“, დრამა ვებერისა, თარგ. ალ. იმედაშვილისა.

◆ **ქართ. დრამ. საზ-ის საზოგადო კრება** მოხდება მისის პირველ რიცხვებში.

◆ **ახალ პიესას** „ნაპოლეონის მხიარულ დღე“-ს სთარგმნის მ. ფ. ქორელი.

◆ **დიმიტრი მოხ. დუმბაძე**, „ზაკავ. რენ“-ის რექტორი და დრამ. საზ. გამგეობისა და სცენის მოღვაწეთა ყრილობის მომწვევე კომისიის წევრი, ქართ. სცენის მოღვაწეთა პირველ ყრილობისათვის ამზადებს მოხსენებას „მძრავი თეატრი პედაგოგურის თვალსაზრისით“.